ჯგუფი ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის (ფასს-ები მსს-ებისთვის) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2024 წლის 31 აგვისტო

ჯგუფი ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ათას ლარში

შინაარსი

		გვერდი
	დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-3
	ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
	მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება	5
	კაპიტალში ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება	6
	ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება	7
ინდივიდუალური ფინანასური ანგარიშგებების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები		
1	კომპანია და მისი საქმიანობა	8
2	კომპანიის საოპერაციო გარემო	8
3	მომზადების საფუძველი	8
4	სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	9-14
5	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას	15
6	ფულადი სახსრები	15
7	სავაჭრო მოთხოვნები	16
7.1	საეჭვო მოთხოვნების რეზერვი	16
8	ძირითადი საშუალებები	16
9	ინვესტიცია	16
10	სავაჭრო და სხვა დავალიანება	17
11	ნასესხები სახსრები	17
12	ამონაგები	17
13	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17
14	ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	17
15	საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	17

ფინანსური ანგარიშგების ბოლო გვერდია 17

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს "ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი"-ს მენეჯმენტს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს "ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი"-ს (შემდეგში „კომპანია“) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც მოიცავს ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, აგრეთვე მოცემული თარიღით დასრულებული პერიოდისთვის (01 სექტემბერი 2023 - 31 აგვისტო 2024) მისი ინდივიდუალური ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს-ები) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ჩვენი აზრით, თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, აგრეთვე მის ინდივიდუალურ ფინანსურ საქმიანობასა და ფულად ნაკადებს აღნიშნულ თარიღში დასრულებული პერიოდისთვის, მცირე და საშუალო საწარმოს (მსს) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“- ნაწილში. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული პროფესიულ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის („IESBA“-ის კოდექსი) მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული ნორმებით და IESBA-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობის ანგარიშგებას“ (მაგრამ არ მოიცავს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემულ ჩვენ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი დასკვნა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას, და განვიხილოთ მმართველობის ანგარიშგება არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად სრულ ინფორმაციას.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაფერის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა (გაგრძელება)

ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფასს-ები მსს-სთვის და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც ხელმძღვანელობა აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ციალა ბუქური/ სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

აუდიტორული კომპანიის სარეგისტრაციო ნომერი: *SARAS-F-256603*
აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი: *SARAS-A-537093*

25 სექტემბერი, 2025
თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ციალა ბუქური/ სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

აუდიტორული კომპანიის სარეგისტრაციო ნომერი: *SARAS-F-256603*

აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი: *SARAS-A-537093*

25 სექტემბერი, 2025

თბილისი, საქართველო

ჯგუფი ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი
ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნები	31-აგვ-24	31-აგვ-23
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	**6**	1,936	599
სავაჭრო მოთხოვნები	**7**	3,176	1,245
მარაგები		186	-
სულ მიმდინარე აქტივები		**5,298**	**1,844**
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	**8**	1,058	1,165
არამატერიალური აქტივები		28	21
ინვესტიციები	**9**	3,570	3,079
სულ გრძელვადიანი აქტივები		**4,656**	**4,265**
სულ აქტივები		**9,954**	**6,109**
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა დავალიანება	**10**	3,381	2,577
ნასესხები სახსრები	**11**	271	2,295
საგადასახადო ვალდებულებები		218	135
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**3,870**	**5,007**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	**11**	4,592	598
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**4,592**	**598**
სულ ვალდებულებები		**8,462**	**5,605**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2	2
გაუნაწილებელი მოგება		1,490	502
სულ საკუთარი კაპიტალი		**1,492**	**504**
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		**9,954**	**6,109**

ნინო ჩიკვაშვილი
დირექტორი

ჯგუფი ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი

25 სექტემბერი, 2025

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-17 წარმოადგენს აღნიშნული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

ჯგუფი ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი
ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნები	31-აგვ-24	31-აგვ-23
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	6	1,936	599
სავაჭრო მოთხოვნები	7	3,176	1,245
მარაგები		186	-
სულ მიმდინარე აქტივები		**5,298**	**1,844**
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	1,058	1,165
არამატერიალური აქტივები		28	21
ინვესტიციები	9	3,570	3,079
სულ გრძელვადიანი აქტივები		**4,656**	**4,265**
სულ აქტივები		**9,954**	**6,109**
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა დავალიანება	10	3,381	2,577
ნასესხები სახსრები	11	271	2,295
საგადასახადო ვალდებულებები		218	135
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**3,870**	**5,007**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	11	4,592	598
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**4,592**	**598**
სულ ვალდებულებები		**8,462**	**5,605**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2	2
გაუნაწილებელი მოგება		1,490	502
სულ საკუთარი კაპიტალი		**1,492**	**504**
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		**9,954**	**6,109**

ნინო ჩიკვაშვილი
დირექტორი

ჯგუფი ქართულ-ამერიკული საერთაშორისო
სკოლა პროგრესი

25 სექტემბერი, 2025

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-17 წარმოადგენს აღნიშნული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

ჯგუფი ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება
2024 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნები	01-სექ-23 31-აგვ-24	01-სექ-22 31-აგვ-23
ამონაგები	12	8,838	7,436
რეალიზაციის თვითღირებულება		(254)	(143)
საერთო მოგება		**8,584**	**7,293**
საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	13	(6,981)	(5,632)
საეჭვო მოთხოვნების რეზერვი	7.1	(182)	(89)
ფინანსური ხარჯი		(286)	(264)
ნეტო კურსთაშორის სხვაობა		(182)	1,233
მიწოდების ხარჯი		(105)	(169)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი ხარჯი		140	398
მოგება დაბეგვრამდე		**988**	**2,770**
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა (ზარალი)/მოგება		**988**	**2,770**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული მოგება		**988**	**2,770**

ნინო ჩიკვაშვილი
დირექტორი
ჯგუფი ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი
25 სექტემბერი, 2025
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-17 წარმოადგენს აღნიშნული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

ჯგუფი ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება
2024 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნები	01-სექ-23 31-აგვ-24	01-სექ-22 31-აგვ-23
ამონაგები	12	8,838	7,436
რეალიზაციის თვითღირებულება		(254)	(143)
საერთო მოგება		**8,584**	**7,293**
საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	13	(6,981)	(5,632)
საეჭვო მოთხოვნების რეზერვი	7.1	(182)	(89)
ფინანსური ხარჯი		(286)	(264)
ნეტო კურსთაშორის სხვაობა		(182)	1,233
მიწოდების ხარჯი		(105)	(169)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი ხარჯი		140	398
მოგება დაბეგვრამდე		**988**	**2,770**
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა (ზარალი)/მოგება		**988**	**2,770**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული მოგება		**988**	**2,770**

ნინო ჩიკვაშვილი
დირექტორი

ჯგუფი ქართულ-ამერიკული საერთაშორისო
სკოლა პროგრესი

25 სექტემბერი, 2025

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-17 წარმოადგენს აღნიშნული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
01-სექ-22	2	**(1,865)**	**(1,863)**
წლის მოგება	-	2,770	**2,770**
გატანილი დივიდენდი	-	(403)	**(403)**
31-აგვ-23	2	**502**	**504**
წლის მოგება	-	988	**988**
31-აგვ-24	2	**1,490**	**1,492**

ნინო ჩიკვაშვილი

დირექტორი

ჯგუფი ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი

25 სექტემბერი, 2025

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-17 წარმოადგენს აღნიშნული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

ჯგუფი ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი
კაპიტალში ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება
2024 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ათას ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
01-სექ-22	2	(1,865)	(1,863)
წლის მოგება	-	2,770	2,770
გატანილი დივიდენდი	-	(403)	(403)
31-აგვ-23	2	502	504
წლის მოგება	-	988	988
31-აგვ-24	2	1,490	1,492

ნინო ჩიკვაშვილი
დირექტორი

ჯგუფი ქართულ-ამერიკული საერთაშორისო
სკოლა პროგრესი

25 სექტემბერი, 2025

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-17 წარმოადგენს აღნიშნული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	01-სექ-23 31-აგვ-24	01-სექ-22 31-აგვ-23
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
შემოსავალი სწავლის საფასურისა და საგანმანათლებლო მომსახურებისგან	9,424	7,343
არასაოპერაციო საქმიანობიდან მიღებული სხვა ფულადი ნაკადები	14	13
ხელფასები და დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯი	(3,919)	(3,281)
გადახდილი ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(1,040)	(672)
მოსწავლეთა კვების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით გადინებული ფულადი სახს	(222)	(80)
მივლინებებზე გადახდი თანხები	(55)	(66)
მოგების გადასახადის გარდა გადახდილი სხვა გადასახადები	(961)	(915)
ფულადი სახსრების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან	**3,241**	**2,342**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
გაცემული სესხები	(841)	(537)
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	(492)	-
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(208)	(197)
იჯარიდან მიღებული შემოსავალი	1	5
გაცემული სესხების დაფარვა	14	287
ფულადი სახსრების გასვლა საინვესტიციო საქმიანობიდან	**(1,526)**	**(442)**
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
აღებული სესხები	27,163	575
ნასესხები სახსრების დაფარვა	(25,346)	(806)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(1,040)	(791)
გადახდილი დივიდენდი	(837)	(383)
გადახდილი პროცენტი	(292)	(167)
ფულადი სახსრების შემოსვლა საფინანსო საქმიანობიდან	**(352)**	**(1,572)**
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	1,363	328
საკურსო სხვაობა ფულად სახსრებზე	(26)	(7)
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	599	278
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	**1,936**	**599**

ნინო ჩიკვაშვილი
დირექტორი

ჯგუფი ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი

25 სექტემბერი, 2025

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-17 წარმოადგენს აღნიშნული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

ჯგუფი ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი
ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება
2024 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ათას ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	01-სექ-23 31-აგვ-24	01-სექ-22 31-აგვ-23
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
შემოსავალი სწავლის საფასურისა და საგანმანათლებლო მომსახურებისგან	9,424	7,343
არასაოპერაციო საქმიანობიდან მიღებული სხვა ფულადი ნაკადები	14	13
ხელფასები და დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯი	(3,919)	(3,281)
გადახდილი ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(1,040)	(672)
მოსწავლეთა კვების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით გადინებული ფულადი სახს	(222)	(80)
მივლინებებზე გადახდი თანხები	(55)	(66)
მოგების გადასახადის გარდა გადახდილი სხვა გადასახადები	(961)	(915)
ფულადი სახსრების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან	**3,241**	**2,342**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
გაცემული სესხები	(841)	(537)
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	(492)	-
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(208)	(197)
იჯარიდან მიღებული შემოსავალი	1	5
გაცემული სესხების დაფარვა	14	287
ფულადი სახსრების გასვლა საინვესტიციო საქმიანობიდან	**(1,526)**	**(442)**
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
აღებული სესხები	27,163	575
ნასესხები სახსრების დაფარვა	(25,346)	(806)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(1,040)	(791)
გადახდილი დივიდენდი	(837)	(383)
გადახდილი პროცენტი	(292)	(167)
ფულადი სახსრების შემოსვლა საფინანსო საქმიანობიდან	**(352)**	**(1,572)**
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	1,363	328
საკურსო სხვაობა ფულად სახსრებზე	(26)	(7)
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	599	278
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	**1,936**	**599**

ნინო ჩიკვაშვილი
დირექტორი

ჯგუფი ქართულ-ამერიკული საერთაშორისო
სკოლა პროგრესი

25 სექტემბერი, 2025

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-17 წარმოადგენს აღნიშნული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

1 კომპანია და მისი საქმიანობა

შპს "ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი" არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (ს/ნ 212807550) , რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში, 2002 წლის 5 აგვისტოს, საქართველოს კანონმდებლობის და დებულებების შესაბამისად. რეგისტრაციის მისამართია: საქართველო, ქალაქი ქუთაისი, დ. აღმაშენებლის გამზირი, №20.

კომპანიის 100%იანი წილის მფლობელი და დირექტორი არის ნინო ჩიკვაშვილი

კომპანია წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის საქმიანობაცაა ზოგადი, საბაზო და საშუალო განათლება.

კომპანიას ყავს ორი შვილობილი - შპს "ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა პროგრესი (405119394 100%); და შპს ქართულ-ამერიკული აკადემია პროგრესი (404597165 55%).

კომპანიას საშუალოდ 261 თანამშრომელი ყავდა დასაქმებული 01-სექ-23 - 31-აგვ-24 პერიოდში (230 01-სექ-22 - 31-აგვ-23).

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში და ინტერპრეტაციებში.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

3 მომზადების საფუძველი

განაცხადი შესაბამისობაზე. წინამდებარე ინდივიდუალური ანგარიშგებები მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგებების საერთაშორისო სტანდარტებთან მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის“ (ფასს-ები მსს-სთვის) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საქართველოს კანონთან შესაბამისობაში. ინდივიდუალური ანგარიშგებები მომზადდა პირვანდელი ღირებულების კონვენციის მიხედვით.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის შესაბამისად მომზადებისათვის საჭიროა გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენება. მოითხოვება ასევე ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, სადაც მაღალი ხარისხით იქნა გამოყენებული განსჯა და სირთულით ხასიათდება, ასევე სფეროები, სადაც დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანია ინდივიდუალური ანგარიშგებისათვის, გამჟღავნებულია მე-5 განმარტებით შენიშვნაში.

რადგანაც კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სასწავლო დაწესებულების დანიშნულება, კომპანიის მენეჯმენტმა მიზანშეწონილად მიჩნია საანგარიშგებო პერიოდი ფისკალური პერიოდისგან განსხვავებული ყოფილიყო. მენეჯმენტის თვალსაზრისით ფინანსური ინფორმაციის უკეთესი პრეზენტაციისთვის საანგარიშგებო პერიოდად მიიჩნიეს 01 სექტემბრიდან 31 აგვისტოს ჩათვლით შუალედი. წინამდებარე ანგარიშგებაში მოგება-ზარალისა და ფულადი სახსრების მოძრაობები წარმოდგენილია ამ შუალედით, ხოლო ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 31 აგვისტოს მდგომარეობით.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

უცხოური ვალუტის გადაანგარიშება. კომპანიის ინდივიდუალურ ანგარიშგებებში შესული მუხლები ფასდება პირველადი ეკონომიკური გარემოს ვალუტით, რომელშიც საწარმო ოპერირებს (სამუშაო ვალუტა). კომპანიის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული უცხოური სავალუტო ოპერაციები სამუშაო ვალუტაში გადაიყვანება ოპერაციების განხორციელებისას გავრცელებული სავალუტო კურსების მიხედვით. უცხოური სავალუტო შემოსულობები და ზარალი, რომელიც მსგავსი ოპერაციების ანგარიშსწორების და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსების გადაყვანის შედეგია, აღიარდება მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, „ფინანსური შემოსავლის ან ხარჯების“ ნაწილში. ყველა სხვა უცხოური ვალუტის გაცვლის შემოსულობა და ზარალი წარდგენილია მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, „სხვა საოპერაციო ხარჯების“ ან „სხვა შემოსავლის“ ნაწილში.

უცხოური ვალუტის გადაანგარიშება (გაგრძელება). 2024 წლის 31 აგვისტოს სებ-ის მიერ დადგენილი ძირითადი სავალუტო გაცვლითი კურსები იყო შემდეგი: 1 $ = 2.6911 ლარს და 1 € = 2.9809 ლარს (2023 წლის 31 აგვისტოს 1 $ = 2.6292 ლარს და 1 € = 2.8621 ლარს).

ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში. ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში აღიარდება ინვესტიციის თავდაპირველი ღირებულებით, სანამ ინვესტიცია არ გაუფასურდება ან არ შეუწყდება აღიარება. შვილობილ საწარმოებში ინვესტიციების საბალანსო ღირებულება განიხილება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა გაუფასურების ნიშნები. თუ რაიმე ასეთი მონიშნება არსებობს, ფასდება აქტივების ანაზღაურებადი თანხები. გაუფასურების ზარალი აღიარებულია, როდესაც შვილობილი საწარმოების ინვესტიციების საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები განიხილება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, რათა დადგინდეს, არის თუ არა რაიმე ნიშანი გაუფასურების შესახებ. თუ რაიმე ასეთი მითითება არსებობს, მაშინ ფასდება აქტივის ანაზღაურებადი თანხა.

გაუფასურების ტესტირების მიზნით, აქტივები, რომელთა შემოწმება შეუძლებელია ინდივიდუალურად, გაერთიანებულია იმ აქტივების უმცირეს ჯგუფში, რომლებიც უწყვეტი მოხმარების შედეგად წარმოქმნიან ფულადი სახსრების შემოდინებას, რაც დიდწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების (CGU) მიერ ფულადი სახსრების შემოდინებისგან. კომპანიის კორპორაციული აქტივები არ წარმოქმნის ცალკეულ ფულადი სახსრების შემოდინებას და გამოიყენება ერთი CGU-ს მიერ.

აქტივის ან CGU-ის ანაზღაურებადი თანხა არის უდიდესი მისი გამოყენების ღირებულებასა და მის რეალურ ღირებულებას, შემცირებულს გაყიდვის ხარჯებით, შორის. გამოყენების ღირებულების შეფასებისას, შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ დრევანდელ ღირებულებამდე დაბეგვრამდე არსებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებას და აქტივის ან CGU-სთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. CGU-სთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი ნაწილდება CGU-ში შემავალი აქტივების საბალანსო ღირებულების შესამცირებლად, პროპორციულ საფუძველზე. წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ნებისმიერი მინიშნებისთვის, რომ ზარალი შემცირდა ან აღარ არსებობს. გაუფასურების ზარალი ანაზღაურდება, თუ მოხდა ცვლილება ანაზღაურებადი თანხის დასადგენად გამოყენებულ შეფასებებში. გაუფასურების ზარალი აღდგება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც აქტივის საბალანსო ღირებულება არ გადააჭარბებს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის ან ამორტიზაციის გარეშე, რომ არ აღიარებულიყო გაუფასურების ზარალი.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები *(გაგრძელება)*

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. მათი კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები აისახება რეალური ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ. რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად, ბაზრის მონაწილეთა შორის გარიგებისას შეფასების თარიღისათვის. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიურია ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

შეფასების ისეთი ხერხები, როგორებიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან თავისუფალ, მხოლოდ საკუთარი ინტერესის მქონე პირებს შორის გარიგებები ან ინვესტიციის მიმღების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება, გამოიყენება იმ კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

რეალური ღირებულების შეფასებების გაანალიზება ხდება რეალური ღირებულების შემდეგი იერარქიის გამოყენებით: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი ამოსავალი მონაცემი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასება არის შეფასება, რომელიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი ინფორმაცია). რეალური ღირებულების იერარქიის დონეებს შორის გადაცემებს, ითვლება, რომ ადგილი ჰქონდათ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

გარიგების დანახარჯები არის დამატებითი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. დამატებითია დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების დანახარჯები მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის თანამშრომლები, რომლებიც მოქმედებენ როგორც აგენტები), მრჩევლებისთვის, ბროკერებისთვის, დილერებისთვის და მარეგულირებლებისთვის გადახდილ საფასურს და საკომისიოს, ასევე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება (''AC'') არის თანხა, რომელიც მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის საწყისი აღიარების თანხას გამოკლებული ძირითადი თანხის გადახდა, დამატებული დაგროვილი პროცენტი და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით (“ECL”). დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი, ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საფასურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებაში.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები *(გაგრძელება)*

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება სავარაუდო მომავალი ფულადი გადახდები ან შემოსავლები (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გარეშე) ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადაზე ან საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მცოცავ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობა საბაზრო განაკვეთების მიხედვით არ განისაზღვრება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური ინსტრუმენტები – საწყისი აღიარება. ძირითადი ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, გარდა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საწყისი შეფასებისას, რომლებიც ფასდება რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეთანხმება ფაქტობრივად წარმოადგენს საფინანსო ოპერაციას. საფინანსო ოპერაცია შეიძლება მითითებული იყოს საქონლის ან მომსახურების გაყიდვასთან დაკავშირებით, მაგალითად, თუ გადახდა გადავადდა ჩვეულებრივი ბიზნეს პირობების მიღმა ან ფინანსდება საპროცენტო განაკვეთით, რომელიც არ არის საბაზრო განაკვეთი. თუ შეთანხმება წარმოადგენს საფინანსო ოპერაციას, კომპანია ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადახდების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია საბაზრო საპროცენტო განაკვეთით მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის.

ფინანსური ინსტრუმენტები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება. სავალო ინსტრუმენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, ფასდება ფულადი სახსრების ან სხვა ანაზღაურების არადისკონტირებული ოდენობით, რომლების გადახდა ან მიღება მოსალოდნელია გა (ანუ გაუფასურების გარეშე), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეთანხმება ფაქტობრივად წარმოადგენს საფინანსო ოპერაციას. თუ შეთანხმება წარმოადგენს საფინანსო ოპერაციას, კომპანია სავალო ინსტრუმენტს აფასებს სამომავლო გადახდების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია საბაზრო საპროცენტო განაკვეთით, მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის.

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე უფლებას ვადის გასვლა ან (ბ) კომპანიას გადაცემული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადებული აქვს საკვალიფიკაციო გამტარი გარიგება, რომლითაც (i) აგრეთვე გადაცემულია აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად მთელი რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული. კონტროლი შენარჩუნებულია, როდესაც პარტნიორს არ გააჩნია აქტივის მთლიანობაში დაუკავშირებელ მესამე მხარეზე მიყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები *(გაგრძელება)*

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთ გადაფარვის მსგავსი უფლება: (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, (ii) დეფოლტის შემთხვევაში და (iii) გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

ფულადი სახსრები . ფულადი სახსრები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები გატარებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ღირებულებით. შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი განისაზღვრება მაშინ, როდესაც არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანიას არ ექნება კუთვნილი თანხების ამოღების შესაძლებლობა მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

გადახდილი ავანსები. გგადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგებაში ან ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება შეწონილი საშუალოს საფუძველზე. მზა პროდუქციის და დაუმთავრებელი წარმოების თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს და მასალებს, პირდაპირ შრომით დანახარჯებს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და დაკავშირებულ საწარმოო ზედნადებ ხარჯებს (ჩვეულებრივი საწარმოო წარმადობის საფუძველზე), მაგრამ არ მოიცავს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას, შემცირებული დასრულების შეფასებული დანახარჯებით და გაყიდვის ხარჯებით. ყოველი საანგარიშო პერიოდისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე. თუ მარაგი გაუფასურდა, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის გასაყიდ ფასამდე, შემცირებული გაყიდვის ხარჯებით. გაუფასურების ზარალი მყისიერად აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა დავალიანება. სავაჭრო დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში და იგი თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (მათ შორის ცვლილებები საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და ა.შ.) უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მესაკუთრის გადაწყვეტილების საფუძველზე.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები *(გაგრძელება)*

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, ისტორიული ღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის თანხით ან დაგროვილი გაუფასურების ანარიცხებით. მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის (მსს) ფასს-ებზე გადასვლის თარიღით ანუ 2017 წლის 1 იანვარს, ძირითადი საშუალებების თვითღირებულება განსაზღვრული იყო ამ თარიღით მის რეალურ ღირებულებასთან მიმართებაში („დასაშვები საწყისი ღირებულება“).

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ და შესაძლებელია დანახარჯების სარწმუნოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტის და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება მოხმარებიდან.

ცვეთა. ძირითადი საშუალებების ცვეთა დაირიცხება ისე, რომ აქტივების ღირებულება, შემცირებული მათი ნარჩენი ღირებულებით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში გადანაწილდეს, წრფივი მეთოდის გამოყენებით. შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

	წელი
შენობა	50
მანქანა დანადგარები	10-20
სატრანსპორტო საშუალებები	10-20
ოფისის აღჭურვილობა და სხვა	2-50

ქტივების ნარჩენი ღირებულებები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თუ ბოლო საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არსებობს მითითება მნიშვნელოვან ცვლილებაზე .

აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის ანაზღაურებად თანხამდე იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება მეტია ვიდრე მისი ანაზღაურებადი თანხა.

გასვლებიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება „სხვა შემოსავალში“ და „სხვა დანახარჯებში“ სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში.

საგადასახადო ვალდებულებები. გადასახადები და ხარჯები, როგორიცაა, მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები ან მარეგულირებლის საფასური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც მოხდება მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის, რაც განისაზღვრება კანონმდებლობით, რომელიც განაპირობებს მოცემული გადასახადის გადახდის ვალდებულებას. თუ გადასახადი მავალდებულებელი მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება წინასაწარი გადახდის სახით.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესული კანონდმებლობის შესაბამისად.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად საწარმოები (გარდა ბანკების, სადაზღვევო ორგანიზაციების (2024 წლამდე) საკრედიტო კავშირების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სესხის გამცემი სუბიექტებისა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომუშავებულ მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან აღიარებული განაწილება დივიდენდის სახით.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები *(გაგრძელება)*

მოგების გადასახადის განაკვეთია 15% (მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა მიიღება საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული დაბეგვრის ობიექტის 0.85-ზე გაყოფის შედეგად). მოგების გადასახადი გადაიხდება ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტ იურიდიულ პირებზე (გარდა ბანკების, სადაზღვევო ორგანიზაციების (2024 წლამდე), საკრედიტო კავშირების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სესხის გამცემი სუბიექტებისა) გადახდილი დივიდენდები მოგების გადასახადით არ იბეგრება.

თუ რეზიდენტი საწარმო დივიდენდს გაანაწილებს 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან, მას უფლება აქვს, ჩაითვალოს ამ პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა, მაგრამ ჩასათვლელი თანხა არ უნდა აღემატებოდეს იმ საანგარიშო პერიოდში დივიდენდის განაწილების შედეგად გადასახდელ მოგების გადასახადის თანხას. ჩასათვლელი თანხა გამოიანგარიშება ფორმულით – A×B / (C-D), სადაც: A არის დივიდენდის სახით გასანაწილებელი თანხის ოდენობა; B არის 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა; C არის 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგების ოდენობა; D არის 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგების ხარჯზე დივიდენდის სანაცვლოდ საწარმოს მიერ პარტნიორისთვის გადაცემული ამ საწარმოს აქციების/წილის ღირებულება.

დივიდენდის განაწილების შედეგად წარმოდგენილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა. შედეგად, კომპანიამ აღიარება შეუწყვიტა ყველა გადავადებულ საგადასახადო აქტივს და ვალდებულებას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შესაბამისი გავლენა მოგებაში ან ზარალში აღრიცხა 2016 წელს. პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

მოგების განაწილების გარდა მოგების გადასახადი გადაიხდება: - გაწეულ ხარჯზე ან სხვა გადახდაზე, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; - უსასყიდლოდ საქონლის მიწოდებაზე/მომსახურების გაწევაზე ან/და ფულადი სახსრების გადაცემაზე და - საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეულ წარმომადგენლობით ხარჯზე. ამავდროულად საგადასახადო კოდექსი განმარტავს თუ რა ითვლება მოგების განაწილებად, რომელი ხარჯი არ ჩაითვლება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულად და ა.შ (მაგალითად მოგების გადასახადით დაიბეგრება შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისთვის გადარიცხული ავანსი, ფიზიკურ პირზე ან არარეზიდენტზე სესხის გაცემა და სხვა), რაც ასევე ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას, მაგრამ აღნიშნული თანხების (ავანსის, სესხის) უკან დაბრუნების შემთხვევაში მოხდება გადახდილი მოგების გადასახადის ჩათვლა. ასეთი სახის მოგების გადასახადის ხარჯები აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ ''გადასახადებში''.

ამონაგების აღიარება. ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ყველა სავაჭრო შემოსავლის, დოსკონტირების, მოცულობითი ფასდათმობების გარეშე. კომპანია აღიარებს ამონაგებს მაშინ, როდესაც ამონაგების თანხის სანდოდ შეფასება შესაძლებელია; როდესაც მოსალოდნელია, რომ სამომავლო ეკონიმიკური სარგებელი საწარმოში შემოედინება; და, როდესაც კომპანიის თითოეული საქმიანობისთვის სპეციალური კრიტერიუმები დაცულია.

მომუშავეთა გასამრჯელოები. ხელფასი, სარგო, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და სამედიცინო დაზღვევა დაირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ. კოპმანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები.

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადების შეფასებისას ითვალისწინებს აქტივების ამჟამინდელ ტექნიკურ მდგომარეობას, ფიზიკური ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, რომელშიც აქტივი ოპერირებს. ამ ნებისმიერი პირობების ან დაშვებების ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთის კორექტირებები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება. მოთხოვნების ანგარიშების გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება მომხმარებლის სპეციფიური ანგარიშების ამოღებადობის შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ. თუ მსხვილი მომხმარებლის კრედიტუნარიანობის გაუარესებას აქვს ადგილი ან ფაქტობრივ დეფოლტი აღემატება შეფასებულს, ფაქტობრივი მოთხოვნების ანგარიშები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან. კომპანია საზღვრავს იმას, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი ინდივიდუალურად შეფასებული მოთხოვნების ანგარიშებისთვის, მნიშვნელოვანია თუ არა, ის მოიცავს მოთხოვნის ანგარიშს მოთხოვნების ანგარიშების იმ ჯგუფში, რომელთაც გააჩნიათ მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლები და ჯამურად აფასებს მათ გაუფასურებაზე.

გაუფასურების ჯამური შეფასების მიზნებისთვის, მოთხოვნების ანგარიშები ჯგუფდება მსგავსის საკრედიტო რისკის მახასიათებლების მიხედვით. ეს მახასიათებლები შესატყვისია სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებისა მსგავსი აქტივების ჯგუფებისთვის იმით, რომ მაჩვენებელია მსესხებლის უნარისა, გადაიხადოს ყველა გადასახადი თანხა, რომელიც ეკისრება ამ შეფასებული აქტივების სახელშეკრულებო პირობებით. სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც ფასდება როგორც ინდივიდუალურად არ გაუფასურებული გაუფასურებაზე შეფასდება ჯამურად კომპანიის ისტორიული ამოღების გამოცდილების გათვალისწინებით მსგავსი ხანდაზმულობის მქონე აქტივებისთვის. სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხები კეთდება ამოღების დონეების ისტორიული გამოცდილების საფუძველზე გარკვეული ხანდაზმულობის კატეგორიის ანგარიშებიდან. გაუფასურების ანარიცხის ღირებულება სენსიტიურია გამოყენებული სპეციფიური პროცენტებისადმი.

ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს შეფასებებისგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება მომავალში გადაიხედოს, ნეგატიურად ან პოზიტიურად, რაც დამოკიდებულია შედეგებზე ან მოლოდინზე, რომელიც ემყარება ყველა იმ ფაქტს, რომლის გარემოცვაშიც არის დაქვემდებარება.

ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა კომპანიას ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა.

6 ფულადი სახსრები

	31-აგვ-24	31-აგვ-23
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1,057	599
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	879	-
სულ ფულადი სახსრები	**1,936**	**599**

7	სავაჭრო მოთხოვნები	31-აგვ-24	31-აგვ-23
	სავაჭრო მოთხოვნები	1,297	1,204
	საეჭვო მოთხოვნების რეზერვი	(826)	(644)
	ნეტო სავაჭრო მოთხოვნები	471	560
	წინასწარ გადახდილი დივიდენდი	837	-
	სხვა მოთხოვნები	1,868	685
	სულ სავაჭრო მოთხოვნები	**3,176**	**1,245**

7.1	საეჭვო მოთხოვნების რეზერვი	01-სექ-23 31-აგვ-24	01-სექ-22 31-აგვ-23
	01 იანვარი	*644*	*555*
	წლის ხარჯი	182	89
	სულ საეჭვო მოთხოვნების რეზერვი	**826**	**644**

8	ძირითადი საშუალებები	მიწა და შენობა ნაგებობები	მანქანა დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა და სხვა	სულ
	საბალანსო ღირებულება					
	01-სექ-22	**953**	**50**	**40**	**1,041**	**2,084**
	შეძენა	-	-	43	778	821
	ჩამოწერა	-	-	(83)	(677)	(760)
	31-აგვ-23	**953**	**50**	**-**	**1,142**	**2,145**
	შეძენა	-	-	-	102	102
	ჩამოწერა	-	-	-	(28)	(28)
	31-აგვ-24	**953**	**50**	**-**	**1,216**	**2,219**
	აკუმულირებული ცვეთა					
	01-სექ-22	**336**	**31**	**25**	**632**	**1,024**
	პერიოდის ცვეთა	22	3	2	143	170
	ცვეთის ჩამოწერა	-	-	(27)	(187)	(214)
	31-აგვ-23	**358**	**34**	**-**	**588**	**980**
	პერიოდის ცვეთა	21	2	-	158	181
	ცვეთის ჩამოწერა	-	-	-	-	-
	31-აგვ-24	**379**	**36**	**-**	**746**	**1,161**
	წარჩენი ღირებულება					
	01-სექ-22	**617**	**19**	**15**	**409**	**1,060**
	31-აგვ-23	**595**	**16**	**-**	**554**	**1,165**
	31-აგვ-24	**574**	**14**	**-**	**470**	**1,058**

9	ინვესტიციები	31-აგვ-24	31-აგვ-23
	(404597165) შპს ქართულ-ამერიკული აკადემია პროგრესი (55%)	3,065	3,066
	(405119394) შპს ამერიკული უმაღლ. საერთ. სკოლა-კოლეჯი პროგრესი (100%)	505	13
	სულ ინვესტიცია	**3,570**	**3,079**

კონსოლიდირებული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2025 წლის 25 სექტემბრის მდგომარეობით.

10	სავაჭრო და სხვა დავალიანება	31-აგვ-24	31-აგვ-23
	მიღებული ავანსები	2,774	2,108
	სავაჭრო ვალდებულებები	343	274
	გადასახდელი ხელფასები	197	141
	სხვა სავაჭრო ვალდებულებები	67	54
	სულ სავაჭრო და სხვა დავალიანება	**3,381**	**2,577**

11	ნასესხები სახსრები	31-აგვ-24	31-აგვ-23
	გრძელვადიანი სესხი ევროში ბანკისგან	3,956	-
	გრძელვადიანი სესხი ევროში დაკავშირებული მხარისგან	596	572
	გრძელვადიანი სესხი ლარში დაკავშირებული მხარისგან	40	26
	მიმდინარე სესხი ევროში ბანკისგან	271	2,295
	სულ ნასესხები სახსრები	**4,863**	**2,893**

ბანკისგან აღებული სესხი დატვირთულიაკომპანიის ბალასზე რიცხული შენობა ნაგებობებით სრულად. (იხ. შენიშვნა 9).

12	ამონაგები	01-სექ-23 31-აგვ-24	01-სექ-22 31-აგვ-23
	შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან	8,687	7,303
	გაყიდული საქონლის უკან დაბრუნება	(301)	(242)
	შემოსავალი სახელმწიფოს სუბსიდიიდან	452	375
	სულ ამონაგები	**8,838**	**7,436**

13	საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	01-სექ-23 31-აგვ-24	01-სექ-22 31-აგვ-23
	შრომის ანაზღაურება	4,825	4,014
	საიჯარო ქირის ხარჯები	1,167	777
	ძირითადი საშუალებების ცვეთა და ამორტიზაცია	190	176
	საკონსულტაციო ხარჯები	66	52
	დაზღვევის ხარჯები	43	34
	რემონტის ხარჯები	19	26
	სხვა ხარჯები	671	553
	სულ საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	**6,981**	**5,632**

14 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	01-სექ-23 31-აგვ-24	01-სექ-22 31-აგვ-23
	ხელფასები და სხვა თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი	315	251

	ნაშთები დაკავშირებულ მხარეეთან	31-აგვ-24	31-აგვ-23
	ნასესხები სახსრები	636	598

15 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

შინაარსი

		გვერდი
1	კომპანია და მისი საქმიანობა	1
2	საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები	1
3	არაფინანსური ანგარიშგება	2
4	სუბიექტის განვითარების გეგმები	2-3
5	ორგანიზაციის სტრუქტურა	3
6	ძირითადი რისკები	3-4

ფინანსური ანგარიშგების ბოლო გვერდია 4

1 კომპანია და მისი საქმიანობა

კომპანიის დასახელება არის შპს "ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი" (ს/ნ 212807550) , რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში, მისსამართი: საქართველო, ქალაქი ქუთაისი, დ. აღმაშენებლის გამზირი, №20.
2000-იანი წლების დასაწყისში, როგორც სტარტაპი, „პროგრესი“ თავიდანვე ფოკუსირებული იყო მდგრად განვითარებასა და ინოვაციაზე. სკოლამ გააანალიზა ბაზრის მოთხოვნა მაღალი ხარისხის როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო განათლების მიწოდებაზე, რომელიც დაფუძნებულია თანამედროვე სასწავლო მეთოდებზე, ტექნოლოგიურ პროცესებზე და პროფესიონალ მასწავლებლებზე.

შპს "ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი" ფლობს 100% წილს სხვა კომპანიაში, კერძოდ შპს "ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა პროგრესი და 55% წილს შპს ქართულ-ამერიკული აკადემია პროგრესში

კომპანიის დამფუძნებელია ერთი ფიზიკური პირი შემდეგი წილობრივი მონაცემით:

დამფუძნებლები	წილი
ნინო ჩიკვაშვილი	100%

კომპანიის დირექტორია - ნინო ჩიკვაშვილი

ჯგუფის საქმიანობას წარმოადგენს ზოგადი, საბაზისო და საშუალო განათლება

მისამართი: საქართველო, ქალაქი ქუთაისი, დ. აღმაშენებლის გამზირი, №20.

2 საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

კონსოლიდირებული	01-სექ-2023 31-აგვ-2024	01-სექ-2022 31-აგვ-2023	ცვლილება %
ამონაგები მომსახურების რეალიზაციიდან	11,865	10,588	12%
რეალიზაციის თვითღირებულება	(254)	(143)	78%
სხვა ხარჯების ღირებულება	(4,093)	(416)	884%
ცვეთის ხარჯი	(604)	(597)	1%
ხელფასის ხარჯი	(6,952)	(6,238)	11%
სხვა შემოსავალი/ხარჯი	239	449	-47%
ლიკვიდურობის მაჩვენებელი			
საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.50	0.11	

შპს ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი	01-სექ-2023 31-აგვ-2024	01-სექ-2022 31-აგვ-2023	ცვლილება %
ამონაგები მომსახურების რეალიზაციიდან	8,838	7,436	19%
რეალიზაციის თვითღირებულება	(254)	(143)	78%
სხვა ხარჯების ღირებულება	(2,721)	(731)	272%
ცვეთის ხარჯი	(190)	(176)	8%
ხელფასის ხარჯი	(4,825)	(4,014)	20%
სხვა შემოსავალი/ხარჯი	140	398	-65%
ლიკვიდურობის მაჩვენებელი			
საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი	1.37	0.37	

3 არაფინანსური ანგარიშგება

დასაქმებულთა რაოდენობის დინამიკა	2023-2024	2022-2023
ქუთაისი	230	261
თბილისი	95	86
აკადემია	5	6

კომპანიას აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა და პროცედურები რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება.

როგორც დამქირავებელი, იგი სთავაზობს პერსონალს განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომებს , რომ პერსონალმა უზრუნველყოს დასახული მიზნების განხორციელება. კომპანიის მენეჯმენტი და დამფუძნებლები პასუხისმგებლობით უდგებიან ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე არსებულ რისკებს და მუდმივად ზრუნავენ თანამშრომლების პროფესიონალიზმის ამაღლებაზე რათა უზრუნველყოფილი იყოს პრაქტიკაში მოქმედი სტანდარტების და პროცედურების დაცვა.

მოსწავლეთა რაოდენობა	2023-2024	2022-2023
ქუთაისი	823	790
თბილისი	341	328

4 სუბიექტის განვითარების გეგმები

22 წლის განმავლობაში „პროგრესი“ მუდმივად ვითარდებოდა, აყალიბებდა თავის უნიკალურ ნიშას და მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ქართულ, ამერიკულ და საერთაშორისო განათლების სფეროში. სკოლამ ჩამოაყალიბა საგანმანათლებლო მიდგომა, რომელიც არა მხოლოდ მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს უწყობს ხელს, არამედ მათ პროფესიულ განვითარებასა და საერთაშორისო მიღწევებს უზრუნველყოფს.
„პროგრესის“ კურსდამთავრებულები წარმატებით აგრძელებენ განათლებას მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში და წარმოადგენენ მომავალი თაობის ლიდერებს. მათი შედეგები ადასტურებს სკოლის მიერ შეთავაზებული განათლების მაღალ ხარისხსა და უნიკალურობას. სკოლას 3000-ზე მეტი კურსდამთავრებული ჰყავს, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა წარმატებით და საგრანტო პროგრამებით ირიცხება როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო უნივერსიტეტებში.
„პროგრესი“ საერთაშორისო პროგრამების განხორციელებით, უცხოური ენების გაძლიერებული სწავლებით, STEM მიმართულების, არაფორმალური და სამეწარმეო განათლების საფუძვლებზე უზრუნველყოფ დემოკრატიული ფასეულობების, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, მოტივირებული, კონკურენტუნარიანი, პროგრესულად მოაზროვნე თაობის აღზრდას. შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული, მრავალფეროვანი პროფესიული პროგრამების განხორციელებით სკოლა ხელს უწყობს უწყვეტ პროფესიულ განათლებას, რითაც თავისი წვლილი შეაქვს ქვეყნის სოციალურ - ეკონომიკურ განვითარებაში.
„პროგრესი“ ახლო მომავალში იქნება ქვეყანაში გამორჩეული საგანმანათლებლო სიცრცე, სადაც ფორმალური და არაფორმალური განათლების გზით დაინტერესებულ პირებს შეეძლებათ როგორც ზოგადი, ასევე არაფორმალური და პროფესიული განათლების მიღება.

4 სუბიექტის განვითარების გეგმები (გაგრძელება)

„პროგრესი“ ამ მიზნების მისაღწევად მუდმივად ცდილობს განავითაროს სკოლის როგორც აკადემიური ისე ინფრასტრუქტურული ნაწილი. უკვე დაწყებულია სამზადისი, რომ 2027-2028 სასწავლო წელი თბილისში დაიწყოს ახალ შენობაში, რომელიც გააერთიანებს სამეცნიერო, სასწავლო და სპორტულ სივრცეებს. ახალი სკოლა სრულად იქნება აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე მკვეთრად აისახება. ასევე იფუნქციონირებს ოლიმპიური სტანდარტის სპორტული სივრცეები. მულტიფუნქციური სპორტული დარბაზები და მოედნები, რომლებიც აკმაყოფილებს საერთაშორისო ოლიმპიურ სტანდარტებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა სრულყოფილ ფიზიკურ განვითარებას. გრძელვადიან მიზანს წარმოადგენს „პროგრესის“ ინტელექტუალური და ოპერაციული მოდელის ექსპორტირება. დაიგეგმება საპილოტე პროექტები და პარტნიორობა შერჩეულ საერთაშორისო ბაზრებზე, რათა ქართული საგანმანათლებლო ბრენდი გახდეს გლობალურად აღიარებული.

5 ორგანიზაციის სტრუქტურა

კომპანიის მართვას უზრუნველყოფს გენერალური დირექტორი
კომპანია აერთიანებს შემდეგ დეპარტამენტებს:

განვითარების რესურსები:

- ფინანსური დეპარტამენტი
- საოპერაციო დეპარტამენტი
- მარკეტინგის და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
- იურიდიული სამსახური
- ინოვაციური და არაფორმალური განათლების სამსახური
- ადამიანური რესურსებისა და ორგანიზაციული განვითარების სამსახური
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური
- დისციპლინარული კომიტეტი

მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესში არ არის დასრულებული მუშაობა კომპანიის გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიის შემუშავებაზე, რის საფუძველზეც უნდა განისაზღვროს მომავალი ბიზნეს გეგმის ძირითადი მიმართულებები. ამ ეტაპზე მენეჯმენტი აქტიურად მუშაობს არსებული ბიზნეს პროცესების სრულყოფასა და მომსახურების ხარისხში კონტროლის პროცედურების გაუმჯობესებაზე.

6 ძირითადი რისკები

კომპანიის საქმიანობაში შესაძლო რისკებს, რომლებმაც შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე, წარმოადგენს დარგობრივი რისკები: კონკურენციის გაძლიერების რისკები; პოლიტიკური რისკები.

საქართველოში არსებულ პოლიტიკურად არა სტაბილურ გარემოს შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს კომპანიის ბიზნეს საქმიანობაზე. ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული საომარი მოქმედებები და ბინადრობის უფლების მოთხოვნა მნიშნელოვნად ამცირებს უცხოელი მოსწავლეების მომართვიანობას, ამიტომ აღნიშნული გარემოება ხშირ შემთხვევაში არის რისკის მატარებელი.

6 ძირითადი რისკები (გაგრძელება)

სხვა რისკები

საკრედიტო რისკი: საწარმოს ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის რისკი მომავალში ნაკლებად სავარაუდოა. თუ მოსალოდნელია ასეთი ფაქტი, საწარმო შეეცდება მოახდინოს სესხის რესტრუქტურიზაცია.

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს კომპანიის ლიკვიდურობაზე წარმოადგენს გარე კრედიტორების და სხვა კონტრაგენტების წინაშე კომპანიის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა.

სამართლებრივი რისკები

სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად. ასევე მოსალოდნელია, რომ სამართლებრივი რისკები წარმოიშვას დებიტორული დავალიანების გამო.

ნინო ჩიკვაშვილი
დირექტორი

ჯგუფი ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი
2025 წლის 24 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

ჯგუფი ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი
მმართველობის ანგარიშგება
2024 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისთვის
თანხები მოცემულია ათას ლარში

შინაარსი

		გვერდი
1	კომპანია და მისი საქმიანობა	1
2	საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები	1
3	არაფინანსური ანგარიშგება	2
4	სუბიექტის განვითარების გეგმები	2-3
5	ორგანიზაციის სტრუქტურა	3
6	ძირითადი რისკები	3-4

ფინანსური ანგარიშგების ბოლო გვერდია 4

1 კომპანია და მისი საქმიანობა

კომპანიის დასახელება არის შპს "ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი" (ს/ნ 212807550) , რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში, მისსამართი: საქართველო, ქალაქი ქუთაისი, დ. აღმაშენებლის გამზირი, №20.
2000-იანი წლების დასაწყისში, როგორც სტარტაპი, „პროგრესი" თავიდანვე ფოკუსირებული იყო მდგრად განვითარებასა და ინოვაციაზე. სკოლამ გააანალიზა ბაზრის მოთხოვნა მაღალი ხარისხის როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო განათლების მიწოდებაზე, რომელიც დაფუძნებულია თანამედროვე სასწავლო მეთოდებზე, ტექნოლოგიურ პროცესებზე და პროფესიონალ მასწავლებლებზე.

შპს "ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი" ფლობს 100% წილს სხვა კომპანიაში, კერძოდ შპს "ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა პროგრესი და 55% წილს შპს ქართულ-ამერიკული აკადემია პროგრესში

კომპანიის დამფუძნებელია ერთი ფიზიკური პირი შემდეგი წილობრივი მონაცემით:

დამფუძნებლები	წილი
ნინო ჩიკვაშვილი	100%

კომპანიის დირექტორია - ნინო ჩიკვაშვილი

ჯგუფის საქმიანობას წარმოადგენს ზოგადი, საბაზისო და საშუალო განათლება

მისამართი: საქართველო, ქალაქი ქუთაისი, დ. აღმაშენებლის გამზირი, №20.

2 საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

კონსოლიდირებული	01-სექ-2023 31-აგვ-2024	01-სექ-2022 31-აგვ-2023	ცვლილება %
ამონაგები მომსახურების რეალიზაციიდან	11,865	10,588	12%
რეალიზაციის თვითღირებულება	(254)	(143)	78%
სხვა ხარჯების ღირებულება	(4,093)	(416)	884%
ცვეთის ხარჯი	(604)	(597)	1%
ხელფასის ხარჯი	(6,952)	(6,238)	11%
სხვა შემოსავალი/ხარჯი	239	449	-47%
ლიკვიდურობის მაჩვენებელი			
საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.50	0.11	

შპს ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი	01-სექ-2023 31-აგვ-2024	01-სექ-2022 31-აგვ-2023	ცვლილება %
ამონაგები მომსახურების რეალიზაციიდან	8,838	7,436	19%
რეალიზაციის თვითღირებულება	(254)	(143)	78%
სხვა ხარჯების ღირებულება	(2,721)	(731)	272%
ცვეთის ხარჯი	(190)	(176)	8%
ხელფასის ხარჯი	(4,825)	(4,014)	20%
სხვა შემოსავალი/ხარჯი	140	398	-65%
ლიკვიდურობის მაჩვენებელი			
საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი	1.37	0.37	

3 არაფინანსური ანგარიშგება

დასაქმებულთა რაოდენობის დინამიკა	2023-2024	2022-2023
ქუთაისი	230	261
თბილისი	95	86
აკადემია	5	6

კომპანიას აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა და პროცედურები რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება.

როგორც დამქირავებელი, იგი სთავაზობს პერსონალს განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომებს , რომ პერსონალმა უზრუნველყოს დასახული მიზნების განხორციელება. კომპანიის მენეჯმენტი და დამფუძნებლები პასუხისმგებლობით უდგებიან ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე არსებულ რისკებს და მუდმივად ზრუნავენ თანამშრომლების პროფესიონალიზმის ამაღლებაზე რათა უზრუნველყოფილი იყოს პრაქტიკაში მოქმედი სტანდარტების და პროცედურების დაცვა.

მოსწავლეთა რაოდენობა	2023-2024	2022-2023
ქუთაისი	823	790
თბილისი	341	328

4 სუბიექტის განვითარების გეგმები

22 წლის განმავლობაში „პროგრესი“ მუდმივად ვითარდებოდა, აყალიბებდა თავის უნიკალურ ნიშას და მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ქართულ, ამერიკულ და საერთაშორისო განათლების სფეროში. სკოლამ ჩამოაყალიბა საგანმანათლებლო მიდგომა, რომელიც არა მხოლოდ მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს უწყობს ხელს, არამედ მათ პროფესიულ განვითარებასა და საერთაშორისო მიღწევებს უზრუნველყოფს.
„პროგრესის“ კურსდამთავრებულები წარმატებით აგრძელებენ განათლებას მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში და წარმოადგენენ მომავალი თაობის ლიდერებს. მათი შედეგები ადასტურებს სკოლის მიერ შეთავაზებული განათლების მაღალ ხარისხსა და უნიკალურობას. სკოლას 3000-ზე მეტი კურსდამთავრებული ჰყავს, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა წარმატებით და საგრანტო პროგრამებით ირიცხება როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო უნივერსიტეტებში.
„პროგრესი“ საერთაშორისო პროგრამების განხორციელებით, უცხოური ენების გაძლიერებული სწავლებით, STEM მიმართულების, არაფორმალური და სამეწარმეო განათლების საფუძვლებზე უზრუნველყოფ დემოკრატიული ფასეულობების, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, მოტივირებული, კონკურენტუნარიანი, პროგრესულად მოაზროვნე თაობის აღზრდას. შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული, მრავალფეროვანი პროფესიული პროგრამების განხორციელებით სკოლა ხელს უწყობს უწყვეტ პროფესიულ განათლებას, რითაც თავისი წვლილი შეაქვს ქვეყნის სოციალურ - ეკონომიკურ განვითარებაში.
„პროგრესი“ ახლო მომავალში იქნება ქვეყანაში გამორჩეული საგანმანათლებლო სიცრცე, სადაც ფორმალური და არაფორმალური განათლების გზით დაინტერესებულ პირებს შეეძლებათ როგორც ზოგადი, ასევე არაფორმალური და პროფესიული განათლების მიღება.

4 სუბიექტის განვითარების გეგმები (გაგრძელება)

„პროგრესი“ ამ მიზნების მისაღწევად მუდმივად ცდილობს განავითაროს სკოლის როგორც აკადემიური ისე ინფრასტრუქტურული ნაწილი. უკვე დაწყებულია სამზადისი, რომ 2027-2028 სასწავლო წელი თბილისში დაიწყოს ახალ შენობაში, რომელიც გააერთიანებს სამეცნიერო, სასწავლო და სპორტულ სივრცეებს. ახალი სკოლა სრულად იქნება აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე მკვეთრად აისახება. ასევე იფუნქციონირებს ოლიმპიური სტანდარტის სპორტული სივრცეები. მულტიფუნქციური სპორტული დარბაზები და მოედნები, რომლებიც აკმაყოფილებს საერთაშორისო ოლიმპიურ სტანდარტებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა სრულყოფილ ფიზიკურ განვითარებას. გრძელვადიან მიზანს წარმოადგენს „პროგრესის“ ინტელექტუალური და ოპერაციული მოდელის ექსპორტირება. დაიგეგმება საპილოტე პროექტები და პარტნიორობა შერჩეულ საერთაშორისო ბაზრებზე, რათა ქართული საგანმანათლებლო ბრენდი გახდეს გლობალურად აღიარებული.

5 ორგანიზაციის სტრუქტურა

კომპანიის მართვას უზრუნველყოფს გენერალური დირექტორი
კომპანია აერთიანებს შემდეგ დეპარტამენტებს:

განვითარების რესურსები:

- ფინანსური დეპარტამენტი
- საოპერაციო დეპარტამენტი
- მარკეტინგის და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
- იურიდიული სამსახური
- ინოვაციური და არაფორმალური განათლების სამსახური
- ადამიანური რესურსებისა და ორგანიზაციული განვითარების სამსახური
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური
- დისციპლინარული კომიტეტი

მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესში არ არის დასრულებული მუშაობა კომპანიის გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიის შემუშავებაზე, რის საფუძველზეც უნდა განისაზღვროს მომავალი ბიზნეს გეგმის ძირითადი მიმართულებები. ამ ეტაპზე მენეჯმენტი აქტიურად მუშაობს არსებული ბიზნეს პროცესების სრულყოფასა და მომსახურების ხარისხში კონტროლის პროცედურების გაუმჯობესებაზე.

6 ძირითადი რისკები

კომპანიის საქმიანობაში შესაძლო რისკებს, რომლებმაც შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე, წარმოადგენს დარგობრივი რისკები: კონკურენციის გაძლიერების რისკები; პოლიტიკური რისკები.

საქართველოში არსებულ პოლიტიკურად არა სტაბილურ გარემოს შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს კომპანიის ბიზნეს საქმიანობაზე. ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული საომარი მოქმედებები და ბინადრობის უფლების მოთხოვნა მნიშნელოვნად ამცირებს უცხოელი მოსწავლეების მომართვიანობას, ამიტომ აღნიშნული გარემოება ხშირ შემთხვევაში არის რისკის მატარებელი.

6 ძირითადი რისკები (გაგრძელება)

სხვა რისკები

საკრედიტო რისკი: საწარმოს ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის რისკი მომავალში ნაკლებად სავარაუდოა. თუ მოსალოდნელია ასეთი ფაქტი, საწარმო შეეცდება მოახდინოს სესხის რესტრუქტურიზაცია.

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს კომპანიის ლიკვიდურობაზე წარმოადგენს გარე კრედიტორების და სხვა კონტრაგენტების წინაშე კომპანიის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა.

სამართლებრივი რისკები

სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად. ასევე მოსალოდნელია, რომ სამართლებრივი რისკები წარმოიშვას დებიტორული დავალიანების გამო.

ნინო ჩიკვაშვილი
დირექტორი

ჯგუფი ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი
2025 წლის 24 სექტემბერი

თბილისი, საქართველო